



 ENERGO-PRO			
გამოცემის თარიღი: Date of Issue: 01.05.17	ძალაში შესვლის თარიღი: Valid since: 02.05.17	მოქმედების ვადა: უვადო Valid till: Unlimited	
შეცვლილი დოკუმენტი: Replaced Document:			
დოკუმენტის ტიპი: Type of Document: ინსტრუქცია Instruction	რეგისტრაციის და დოკუმენტის ნომერი: Registration and file No.: INS 201703		
სათაური: სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“-ს ტვირთამწე მანქანების გამოკვლევისა და დამოწმების ინსტრუქცია Title: Instruction for the survey and verification of cranes of JSC “Energo-Pro Georgia Generation”			
შემდგენელი: Elaborated by: კობა ზარდიაშვილი Koba Zardiashvili	სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შრომის დაცვის და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის განყოფილების უფროსი Head of Labor Protection and Fire Safety Division of JSC “Energo-Oro Georgia”	თარიღი: Date: 01.05.2017	ხელმოწერა: Signature: 
თავდები: Guaranter: ვასო კობიაშვილი Vaso Kobiashvili	სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შრომის დაცვის სამსახურის უფროსი Head of Labour protection service	თარიღი: Date: 01.05.2017	ხელმოწერა: Signature: 
ზედამხედველი: Taskmaster: დიან დიმოვი Dian Dimov	გენერალური დირექტორის მოადგილე Deputy General Director	თარიღი: Date: 01.05.17	ხელმოწერა: Signature: 
დამტკიცებულია: Approved by : მიხეილ ბოცვაძე Mikheil Botsvadze	გენერალური დირექტორი General Director	თარიღი: Date: 01.05.17	ხელმოწერა: Signature: 

1. შესავალი დებულებები:

1.1. მიზანი

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანია სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“-ს ხიდურა და ჯოჯგინა ამწეების გამოკვლევის პერიოდულობის და მეთოდების დადგენა, მათი შემდგომი ექსპლუატაციის შესაძლებლობის განსაზღვრა.

1.2. დოკუმენტებთან კავშირი და მოქმედების სფეროს განსაზღვრა

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №429 დადგენილებით დამტკიცებულ „ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტთან“ აგრეთვე ტვირთამწე მანქანების გამოკვლევის მეთოდურ მითითებებთან (PD 10-112-96), მუშაობის ვადაგასული ტვირთამწე მანქანების გამოკვლევის მეთოდურ მითითებებთან (ნაწილი 5. ხიდურა და ჯოჯგინა ამწეები (PD 10-112-5-97)). ინსტრუქცია გათვალისწინებულია ამწეების შემდგომი ექსპლუატაციის განსაზღვრის მიზნით სავალდებულოა ჰიდროელექტროსადგურების ყველა პერსონალისათვის, რომლებიც მონაწილეობენ წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ პროცესებში.

ინსტრუქცია აგრეთვე შეიძლება გამოყენებული იქნეს ჰესების ცალკეული ტვირთამწე მექანიზმების და ელექტრული ტალების სრული გამოკვლევისთვის.

2. ძირითადი ტერმინების განმარტება

2.1. კომპანია – სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“

2.2. ჰესი - სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“ კუთვნილი ჰიდროელექტროსადგური.

2.3. საყრდენის ძირითადი კვეთის დადლილობის ბზარი - დადლილობის ბზარი რომელიც აზიანებს ჯოჯგინა ამწეს თუნდაც ერთი საყრდენის კვეთის არანაკლებ 50%-ს. ასეთი დადლილობის ბზარის არსებობა იწვევს მეტალოკონსტრუქციის ნარჩენი რესურსის შეფასების აუცილებლობას.

2.4. ტმ- ტექნიკური მომსახურება;

2.5. მრ - მიმდინარე რემონტი;

2.6. კრ - კაპიტალური რემონტი;

3. სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაციის“-ს ტვირთამწე მანქანების გამოკვლევისა და დამოწმების ინსტრუქცია.

3.1. საერთო მოთხოვნები

3.1.1. ტვირთამწეების უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი სახის ტექნიკური მომსახურებები: ა) ყოველდღიური ტექნიკური მომსახურება - ტარდება ამწეს ცვლაში გამოყენებამდე ან გამოყენების შემდეგ; ბ) გეგმიური ტექნიკური მომსახურება - ტარდება წელიწადში ერთხელ გეგმიური ნამუშევარი პერიოდის გავლის შემდეგ; გ) სეზონური მომსახურება - ტარდება წელიწადში ორჯერ ამწეს გამოყენებისათვის მომზადების პერიოდში ზაფხულში ან ზამთარში.

3.1.2. ტვირთამწეებს აგრეთვე უტარდებათ შემდეგი სახის რემონტები: მიმდინარე და კაპიტალური. მიმდინარე რემონტი უზრუნველყოფს ამწეს მუშაობის რესურსს მომდევნო რემონტამდე. კაპიტალური რემონტი უზრუნველყოფს ამწეს მუშაობის მთლიანი რესურსის ზრდას, ძირითადი საბაზისო კვანძების და დეტალების აღდგენის ან შეცვლის გათვალისწინებით.

3.2. ამწეების ტექნიკური მომსახურების და რემონტის დაგეგმვა.

3.2.1. ჰიდროელექტრო სადგურებში უნდა შემუშავდეს ამწეების ტექნიკური მომსახურების და რემონტების წლიური გეგმა-გრაფიკი ცხრილი #1-ის შესაბამისად.

3.2.2. ტექნიკური მომსახურების და რემონტების წლიური გეგმა წარმოადგენს მატერიალური და შრომითი რესურსების, ტექნოლოგიური მოწყობილობების, სამარჯვების და ინსტრუმენტების მოთხოვნის ძირითად საფუძველს.

3.2.3. წლიური გეგმით განისაზღვრება თითოეული ამწეს ტექნიკური მომსახურების და რემონტების რაოდენობა. დაგეგმვის საწყის მონაცემებად ითვლება: დასაგეგმი წლის დასაწყისისთვის ფაქტიური ნამუშევარი, დაწყებული ბოლო ჩატარებული ტექნიკური მომსახურებიდან ან რემონტიდან (ან ექსპლუატაციაში შესვლიდან) და დასაგეგმი წლიური ნამუშევრობა, სამუშაოს შესრულების პერიოდულობისა და შრომატევადობის მაჩვენებელი.

3.2.4. დასაშვებია ტექნიკური დამოწმების და დიაგნოსტიკის მონაცემების გათვალისწინებით კაპიტალური რემონტის ვადის გადაწევა.

ცხრილი #1

ამწეს ტექნიკური მომსახურებისა და რემონტების წლის გეგმა-გრაფიკი 20 __ წ

ჰესის დასახელება					
ამწის დასახელება და მარკა	ამწის ქარხნული ნომერი	ტექნიკური მომსახურების და რემონტის რაოდენობა დასაგეგმ წელს			
		კ	მ	ტმ	სმ

3.3. ამწეების ტექნიკური მომსახურება, დამოწმება და რემონტი

3.3.1. ამწეების ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს ახორციელებენ კომპანიის სპეციალისტები, ამწეების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტების პერიოდულობის, შრომატევადობის და ხანგრძლივობის ნორმების (დანართი 1) შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში დამატებით შეიძლება სპეციალური სარემონტო საწარმოების მოწვევა.

3.3.2. ჰესებში უნდა წარმოებდეს ამწეების ნამუშევარის აღრიცხვა „ტვირთამწეების და ტვირთამტაცი სამარჯვების ექსპლუატაციის ჟურნალში“ (დანართი 2) საექსპლუატაციო დოკუმენტაციის შესაბამისად.

3.3.3. დიაგნოსტიკის შედეგების მიხედვით საჭიროა შეივსოს დიაგნოსტიკური რუქა, რომელშიც შეტანილია: დიაგნოსტიკის ობიექტი და დიაგნოსტიკური პარამეტრები, ნომინალური და დასაშვები - გაზომვების და რეგულირების (რემონტის) შემდეგ; დასკვნა ტექნიკური მდგომარეობის შესახებ და გასატარებელი ღონისძიებები.

- 3.3.4. ამწეები მუშაობის ნორმატიულ ვადაში უნდა გადიოდნენ პერიოდულ ტექნიკურ დამოწმებას:
- 3.3.4.1. ნაწილობრივს - არანაკლებ ერთჯერ 12 თვეში;
- 3.3.4.2. სრულს - არანაკლებ ერთჯერ 3 წელიწადში;
- 3.3.4.3. იშვიათად გამოსაყენებელი ამწეები სამანქანო დარბაზების მომსახურებისათვის, ელექტრო და სატუმბი სადგურებისათვის, საკომრესორო დანადგარებისათვის, აგრეთვე სხვა ამწეები რომლებსაც იყენებენ მხოლოდ დანადგარების რემონტისათვის ექვემდებარება სრულ ტექნიკურ დამოწმებას არანაკლებ 5 წელიწადში ერთჯერ.
- 3.3.5. ამწეებზე ჩატარებული რემონტი ფიქსირდება ტვირთამწეების და ტვირთამტაცი სამარჯვების ექსპლუატაციის ჟურნალში (დანართი 3).

3.4. ამწეების გამოკვლევის სახეები და პერიოდულობა

- 3.4.1. ხიდურა ტიპის ტვირთამწეების გამოკვლევა შემდგომი ექსპლუატაციის ვადის გაგრძელების მიზნით, აუცილებელია ჩატარდეს ნორმატიული ვადის გასვლისთანავე.
- 3.4.2. როგორც წესი გამოკვლევების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს. ბოლო მეოთხე გამოკვლევის ვადის გასვლის შემდეგ გამომკვლევ კომისიის რეკომენდაციით ამწე შეიძლება დაექვემდებაროს ან კაპიტალურ-აღდგენით რემონტს, ან დარჩენილი რესურსის შეფასებას, ან ჩამოწვას.
- 3.4.3. ამწეები ექვემდებარება რიგგარეშე გამოკვლევას შემდეგ შემთხვევებში:
- 3.4.3.1. თუ ექსპლუატაციის პროცესში მზიდ მეტალოკონსტრუქციაზე განმეორებით აღმოჩნდა ბზარები;
- 3.4.3.2. თუ ხიდურა ამწეს ძირითად საყრდენ კოჭებზე გაჩნდა უარყოფითი ჩაღუნვა მალის სიდიდის 0,0022-ზე მეტი;
- 3.4.3.3. თუ 1,25 Q ნომ. ტვირთით გამოცდისას დადგინდა ნარჩენი დეფორმაციის არსებობა;
- 3.4.3.4. მეტალოკონსტრუქციის დეფორმაციის არსებობა, წარმოქმნილი დაჯახებით, ხანძრით და ა.შ.

3.5. გამოკვლევის დროს ჩასატარებელი სამუშაოები

3.5.1. ტვირთამწე მანქანის მფლობელმა ჰესის ხელმძღვანელობამ გამოკვლევისათვის უნდა მოამზადოს:

- 3.5.1.1. ტვირთამწე მანქანა, გამომცდელი ტვირთი, აგრეთვე გამოკვლევის პერიოდში გამოყოს ამწეს მემანქანე.
- 3.5.1.2. მეტალოკონსტრუქციების და მექანიზმების სიმაღლეზე გამოკვლევისათვის საჭირო მოწყობილობები და მექანიზმები (საჭიროებისებრ).
- 3.5.1.3. ამწეს სავალი გზის ექსპლუატაციაში მიღება-ჩაბარების აქტი და სავალის ნიველირების აქტი (ამწეებისათვის რომლებიც გადაადგილდებიან მიწისა და მიწისზედა სალიანდაგო გზებით).
- 3.5.1.4. იზოლაციისა და დამიწების წინააღმდეგ შემოწმების აქტი (საჭიროებისამებრ).
- 3.5.1.5. ტვირთამწე მანქანის საექსპლუატაციო დოკუმენტაცია.
- 3.5.1.6. წინა ჩატარებული რემონტის დოკუმენტაცია.
- 3.5.1.7. წინა ჩატარებული გამოკვლევის აქტი შემდგომ ექსპლუატაციაზე დასკვნით, რომელიც გაიცემა მუშა ტვირთამწე მანქანაზე, რომელმაც გაუძლო სტატიკურ და დინამიურ გამოცდას.

3.5.2. ამწის მეტალოკონსტრუქციების გამოკვლევა უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

- 3.5.2.1. მეტალოკონსტრუქციების მზიდი ელემენტების ვიზუალური დათვალიერება;
- 3.5.2.2. მეტალოკონსტრუქციების ელემენტების დეფექტოსკოპიური გამოკვლევა;
- 3.5.2.3. მეტალოკონსტრუქციების ელემენტების შეერთების ხარისხის შემოწმება (შედულების, მოქლონების, ქანჩქანჭიკის და სხვა.);
- 3.5.2.4. კოჭების, ფერმების და ცალკეული დაზიანებული ელემენტების ნარჩენი დეფორმაციის გაზომვა;
- 3.5.2.5. ლითონკონსტრუქციების მზიდი ელემენტების კოროზიის ხარისხის შეფასება.
- 3.5.2.6. ვიზუალური დათვალიერების შესრულების დროს საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შემდეგი დეფექტების არსებობას:

- ძირითად ლითონში და შედუღების ნაკერების ზონებში წარმოშობილ ბზარებს, ისეთი ირიბი ნიშნებით, როგორცაა საღებავის აქერცვლა, ადგილობრივი კოროზია, ჟანგიანი ჩამონალვეთი და სხვა;
 - მექანიკურ დაზიანებებს;
 - ძირითადი ლითონის აშრეებას;
 - სარემონტო შედუღების შეერთებების უხარისხოდ შესრულებას;
 - სახსრული შეერთებების (ლუფტი) ხარისხს, ქანჩ-ქანჭიკისა და მოქლონური მიერთებების შესუსტებას;
 - კოროზიული კერების წარმოშობას.
 - ბზარის ნიშნების გამოვლინების შემთხვევაში (აგრეთვე გამოვლენილი ბზარების ფაქტიური საზღვრების დადგენის მიზნით) ლითონკონსტრუქციაში ან შედუღების ნაკერებში საექვო ადგილები საჭიროა შემოწმდეს დეფექტოსკოპიური ხელსაწყოებით.
- 3.5.2.7. მეტალოკონსტრუქციების მექანიკური დაზიანებების გამოვლენისას (ჭყლეტვა, ჩალუნვა, რღვევა და სხვა) მოწმდება მათი ზომები (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე ან სიღრმე). შემდეგ დაზიანებულ ზომებს ადარებენ მსგავსი დეფექტების ზღვრულ დასაშვებ ზომებს, რომლებიც მოყვანილია მეტალოკონსტრუქციაზე ნარჩენი დეფორმაციის მაქსიმალურად დასაშვები სიდიდეებში (დანართი 4) და მეტალოკონსტრუქციის ადგილობრივი ნარჩენი დეფორმაციის ზღვრული მნიშვნელობები (დანართი 5). ნორმატიული ზომების გადაცილების შემთხვევაში დაზიანებები ფიქსირდება დეფექტების უწყისში (დანართი-6).
- 3.5.2.8. ხიდურა ამწეების მეტალოკონსტრუქციებზე დეფექტების წარმოქმნის ზოგიერთი ადგილი მოცემულია ნიმუშის სახით (დანართი 7).
- 3.5.2.9. კოროზიული ცვეთის ხარისხი დგინდება მზომი ხელსაწყოების მეშვეობით ან დეფექტოსკოპიით.
- 3.5.2.10. სამოქლონე და ქანჩ-ქანჭიკური შეერთებების მდგომარეობის კონტროლი საჭიროა განხორციელდეს ვიზუალურად და ჩაქურის კაკუნით. მოქლონის (ქანჭიკის) შესუსტება შეიძლება განისაზღვროს დარტყმის უფრო ყრუ ხმით და ჩაქურის ასხლეტვის ხასიათით. მოქლონის შესუსტების შემოწმება შეიძლება შესრულდეს ორი ჩაქურით: ერთით ახდენენ დარტყმას გარე თავზე, ხოლო მეორე მიბჯენილია მოქლონის საპირისპირო თავზე. თუ მოქლონი შესუსტებულია, მაშინ მის თავზე პირველი ჩაქურით დარტყმისას ხდება მეორე ჩაქურის მკვეთრი ასხლეტვა.
- 3.5.2.11. ქანჭიკურ შეერთებებზე ვიზუალური კონტროლისას საჭიროა გამოვლინდეს ქანჭიკების რაოდენობის შესაბამისობა საპროექტოსთან, აგრეთვე აშკარა დეფექტები (ბზარები, ჩაწყლეტვები, ქანჩის თავის მოგლეჯვა და სხვა). ფაქტიური შემოწმების მიზნით ერთ-ერთ ყველაზე კოროზიულ ან საექვო ქანჭიკს უტარდება მოშვება-გადაჭერა, მოწყვეტაზე შემოწმება და სხვა. დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში დეფექტების უწყისში უნდა მიეთითოს რეკომენდაცია 25-50% ქანჭიკური მიერთებების რევიზიის შესახებ.
- 3.5.2.12. ზემტვიცე ქანჭიკური შეერთებების ხარისხის შემოწმება ითვალისწინებს ქანჩებისა და შაიბების კომპლექტაციის შეფასებას, აგრეთვე ღრეჩოს არარსებობას ქანჩებსა და შაიბებს შორის. ცალკეულ შემთხვევებში ქანჭიკის სიმრთელის შემოწმება შეიძლება ულტრახმოვანი სისქისმზომით.
- 3.5.2.13. მეტალოკონსტრუქციების შემაერთებელი ელემენტების კონტროლი საჭიროა დაიწყოს მაფიქსირებელი და შემაკავებელი ელემენტების (ქანჭიკები, ქანჩები, კონტრაქანჩები და სხვა) კომპლექტაციის შემოწმებით. დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში, რეკომენდებულია შეერთებები დაიშალოს, გაიზომოს ცვეთის სიდიდე და მიეთითოს დეფექტების უწყისში. დეფექტების უწყისში მითითებული უნდა იყოს მიზეზი (კომისიის აზრით), რამაც მიიყვანა დაზიანებამდე (მაგ. ღერძულა დაწოლის თითზე ან მზრუნავ მომენტზე ზემოქმედება).
- 3.5.2.14. კოჭების ნარჩენი დეფორმაციის შეფასებას ახდენენ ამწის მთავარი სამალე კოჭების და დამხმარე ხიდების მაღლივი გაზომვების, სატვირთო ურიკის სალიანდაგო გზის მაღლივი გადაღების სქემის (დანართი 8) და ამწის ძირითადი საყრდენი კოჭებზე გრეხვის სიდიდის გაზომვის მიხედვით (დანართი 9).
- 3.5.2.15. მეტალოკონსტრუქციების ექსპლუატაციის ხანგრძლივობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს:
- კონსტრუქციის ელემენტების ადგილობრივი მექანიკური დაზიანებების არსებობა (მ.შ. ადგილობრივი ნარჩენი დეფორმაციები, წყვეტები, ბზარები და სხვა დეფექტები, რომლებიც აჭარბებენ დანართი-5-ში მითითებულ რიცხვით სიდიდეებს).

- მეტალოკონსტრუქციების კვანძების ნარჩენი დეფორმაციები ძირითადი კოჭების ნარჩენი ჩალუნვა, კოჭების და სივრცითი ფერმების გრეხვა, ხიდის ფორმის დამახინჯება და სხვა, რომლებიც აჭარბებენ დანართი -4-ში მითითებულ მნიშვნელობებს;
 - მეტალოკონსტრუქციაზე გამოვლენილი ლითონის ტექნოლოგიური დეფექტები (აშრევა და სხვა).
- 3.5.2.16. მოსალოდნელი შედეგების სიმძიმის ხარისხის მიხედვით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას არსებული დეფექტების და დაზიანებების გამო, პრევენციის ღონისძიებებს გეგმავენ შემდეგნაირად:
- ექსპლუატაციის გაგრძელება დასაშვებია მომდევნო გამოკვლევამდე ყოველგვარი დამატებითი პირობების გარეშე;
 - ექსპლუატაციის გაგრძელება დასაშვებია წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ არსებულ დროზე ნაკლები ვადით;
 - ექსპლუატაციის გაგრძელება დასაშვებია მომდევნო გამოკვლევამდე ამწის ტვირთამწეობის შეცვლით;
 - ექსპლუატაციის გაგრძელება დაკავშირებულია რემონტის ჩატარების აუცილებლობასთან და დამოკიდებულია მის შედეგებზე;
 - შეუძლებელია მეტალოკონსტრუქციის ელემენტის ან მთელი მეტალოკონსტრუქციის ექსპლუატაციის გაგრძელება.
- 3.5.2.17. ამწის ექსპლუატაციის გაგრძელების შესაძლებლობა ყველა შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი გაანგარიშებით, რის შემდეგაც მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობას.
- 3.5.2.18. მეტალოკონსტრუქციების გამოკვლევისას და მისი შედეგების ანალიზისას საჭიროა რაც შეიძლება მაღალი ხარისხის სიზუსტით დადგინდეს დეფექტის წარმოშობის მიზეზები.
- 3.5.2.19. მეტალოკონსტრუქციების დეფექტური ელემენტების ექსპლუატაციის გაგრძელების შესაძლებლობასა და პირობებს განსაზღვრავს გამომკვლევია კომისია.

3.5.3. საბაგრო-ბლოკური სისტემების და სხვა კვანძების მექანიზმების შემოწმება

- 3.5.3.1. საბაგრო- ბლოკური სისტემების და სხვა კვანძების მექანიზმების მდგომარეობის შემოწმება უნდა მოიცავდეს შემდეგს: გარეგანი დათვალიერება იმ მიზნით, რომ გაკეთდეს ანალიზი ზოგადი მდგომარეობის, მუშაობის შესაძლებლობის და შემდგომი გაზომვების ჩატარების აუცილებლობა.
- 3.5.3.2. გამოკვლევების ჩატარებამდე, დათვალიერდეს ტვირთამწე მანქანის მექანიზმები და სხვა კვანძები, რომლებიც უნდა გაიწმინდოს ჭუჭყისაგან, ჟანგისგან, თოვლისაგან, ჭარბი ტენისგან და საცხი მასალებისაგან. ვიზუალური დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს, ყველა მექანიზმის ზოგადი მდგომარეობა, ცალკეული კვანძების და დეტალების დაზიანებები, დეფორმაციების არსებობა, კოროზიულობა და აღმოჩენილი დეფექტების გამოსწორების აუცილებლობა, რედუქტორებიდან ჟონვების არ არსებობა, მექანიზმების გადაჭერის ხარისხი, მექანიზმების კვანძების რეგულირების შესაბამისობა (მაგ. გადაადგილების მუხრუჭების და ა.შ) საექსპლუატაციო და ნორმატიული დოკუმენტებთან.
- 3.5.3.3. დათვალიერებისას მექანიზმების დაშლის აუცილებლობა განისაზღვრება კომისიის მიერ. დათვალიერებისას აღმოჩენილი ზღვრულთან მიახლოებული დაზიანებები, უნდა გაიზომოს. გაზომვების შედეგების, მაგ. ცვეთასთან დაკავშირებულის შედარება ხდება იმ ზომასთან, სადაც ცვეთას პრაქტიკულად ადგილი არ აქვს, ან ნახაზში მითითებულთან.
- 3.5.3.4. ცვეთის გაზომვის აუცილებლობა და რედუქტორების კბილანური გადაცემის თვლების დაზიანება შეიძლება განისაზღვროს მექანიზმების მუშაობის პროცესში გაჩენილი ხმაურით ან კორპუსის ტემპერატურის ზრდით. (ეს უკანასკნელი რიგ შემთხვევებში შეიძლება მიუთითებდეს საცხები მასალების არ არსებობაზე).
- 3.5.3.5. რედუქტორებში ზეთის არსებობა განისაზღვრება სასინჯი ღეროთი, ზეთის მაჩვენებელი საცობებით, სათვალთვალო ან სახურვზე არსებული ლუქით; ზეთის დონე უნდა იყოს ზედა და ქვედა ნიშნულს შორის.
- 3.5.3.6. ხმარებიდან უპირობო ამოღებას ექვემდებარება კბილანა თვლები, რომლებსაც კბილების ფუძეებზე გააჩიათ ღარები. რაც განისაზღვრება მექანიზმის მუშაობის პროცესში.

3.5.3.7. ბურთულა საკისრების მდგომარეობა უნდა შემოწმდეს დამახასიათებელი ხმის არსებობისას და მათი ჩასმის ადგილების ზომაზე მეტად გათბობით. დეფექტების ნიშნების არსებობისას აუცილებელია შესრულდეს მექანიზმის ნაწილობრივი დაშლა.

3.5.3.8. ხელის ბურთულა-საკისრები დაწუნებული უნდა იყოს შემდეგი დეფექტების არსებობისას: ნებისმიერი სიდიდის რხევის ზღვარზე ბურთულებისა და გორგოლაჭის კვალის არსებობისას.

3.5.3.9. აფურცქვნის და/ან ნიჟარების გაჩენისა ბურთულებში, გორგოლაჭებში ან რხევის ბლოკებში, სეპარატორებში და სხვა ხასიათის მექანიკური წინააღმდეგობის არსებობისას, რომლებიც ხელს უშლიან ბურთულა-საკისრის თანაბარ ბრუნვას. ცვეთის გამო რადიალური ან ღერძულა მანძილების რკალური ზომების გაზრდისას ტვირთამწე ბაგირები, ბლოკები, დოლურები და კაკვები შემოწმებული უნდა იქნას მანქანების ზღრული ნორმების მიხედვით, რომლის დროსაც იკრძალება მათი მუშაობა. მზიდი ბაგირები უნდა შემოწმდეს არადაძმლელი კონტროლის ერთ-ერთი მეთოდით.

3.5.3.10. ბაგირები, რომლებსაც არ გააჩნიათ სერთიფიკატი უნდა იქნეს ამოღებული ხმარებიდან.

3.5.4. ელექტრომოწყობილობის მდგომარეობის შემოწმება.

3.5.4.1. ელექტრომოწყობილობის მდგომარეობის შემოწმება უნდა მოიცავდეს: ელმოწყობილობის ვიზუალურ დათვალიერებას და ანალიზისთვის აუცილებელი გამოცდებისა და გაზომვების ჩატრებას. დასამონტაჟებელი ელ.მოწყობილობის შესაბამისობას საექსპლუატაციო დოკუმენტებთან.

3.5.4.2. ელექტრომოწყობილობის მუშაობის საკონტროლო შემოწმება, შესასრულებელი სამუშაოთა ჩამონათვალი, ელექტრომოწყობილობათა გამოკვლევისას, დამოკიდებულია ამწის კონკრეტულ ეტაპზე და მასზე დამონტაჟებულ ელ. მოწყობილობათა სისტემაზე.

3.5.4.3. ელ.მოწყობილობათა ვიზუალური დათვალიერება, რომელიც ხორციელდება მექანიკური დაზიანებების არსებობის დადგენისთვის, უნდა განხორციელდეს მისი ელემენტების მოქმედების შემოწმებით, მოწყობილობის ხელით მუშაობის იმიტაციისას.

3.5.4.4. ვიზუალური დათვალიერება უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად ელ. მოწყობილობის ცალკეულ კვანძებისთვის. ამ დროს აუცილებლად უნდა შემოწმდეს:

- ელექტროძრავები;
- მართვის პანელები;
- გამშვებ-მარეგულირებელი რეზისტორები;
- მართვის პულტი და სამონტაჟო პულტები;
- სამუხრუჭო ელექტრომაგნიტები და ელექტროჰიდრავლიკური უკუცემის ელექტროძრავები;
- კაბელები, გამტარები, წინააღმდეგობის ელემენტები და ა.შ.

3.5.4.5. ამ დროს შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი, დამოკიდებულია ტვირთამწე მანქანის კონკრეტულ ტიპზე, ელექტროამძრავის ტიპზე და მკვებავი ელექტრული დენის ტიპზე.

3.5.4.6. ელექტრომოწყობილობის მუშაობის კონტროლი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა შემოწმდეს ყველა მექანიზმის ფუნქციონირება ელექტრული სქემის შესაბამისად, მათ შორის აპარატების გადრთვა მდოვრედ, რომელთა ცალკეული პოზიციების ფიქსირება ხდება გარკვევით.

3.5.4.7. იზოლაციის წინააღმდეგობის მდგომარეობის და ამწის დამიწების შემოწმება უნდა მოხდეს სათანადო გაზომვის უწყისების მონაცემების მიხედვით.

3.5.5. ამწეების უსაფრთხოების ხელსაწყოების და მოწყობილობების მდგომარეობის შემოწმება

3.5.5.1. ამწეების უსაფრთხოების ხელსაწყოების და მოწყობილობების შემოწმება უნდა მოიცავდეს: უსაფრთხოების ხელსაწყოების და მოწყობილობების ვიზუალურ დათვალიერებას, მათი მუშაობის საკონტროლო შემოწმებას.

3.5.5.2. ვიზუალური დათვალიერების დროს აუცილებელია უსაფრთხოების ხელსაწყოების და მოწყობილობების მუშაობის საკონტროლო შემოწმება:

- ხელსაწყოების საპასპორტო მონაცემებთან შედარება

- ტვირთამწეობის შემომსახურელი ინდიკატორების ჩართვა და მათი მუშაობის შესაბამისობა ნორმატიულ მონაცემებთან.
 - დამაბოლოებელი ამომრთველების მუშაობის შემოწმებას, რომლებიც განსაზღვრავენ ტვირთის, ურიკის და ა.შ. მოძრაობას.
 - ბლოკირების სისტემების და დაცვების მოქმედების ჩართვის შემოწმებას, რომლებიც დამონტაჟებულია ტვირთამწე მანქანაზე და მოცემულია მის პასპორტში.
- 3.5.5.3. ხიდურა ამწეებზე დამონტაჟებული ტვირთამწეობის შემზღუდველები უნდა შესაბამებოდეს PD 10-118-96 „უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები ხიდურა და ჯოჯგინა ამწეების ტვირთის აწევის შემზღუდველების მიმართ“ მონაცემებს.
- 3.5.5.4. ბოლო ამომრთველებისა და ბლოკირებების მუშა მდგომარეობის შემოწმებას ახორციელებენ „კონტროლს დაქვემდებარებული ხიდურა ამწეების შემადგენელი ცალკეული ელემენტების პარამეტრები, რომელთაც ესაჭიროება გამოკვლევა“-ს შესაბამისად (დანართი 10-ის პ.13 და პ.19-ის).

3.5.6. ამწეებისა და სატვირთო ურიკის სალიანდაგო გზების მდგომარეობის შემოწმება

- 3.5.6.1. ამწეებისა და სატვირთო ურიკის სალიანდაგო გზების მდგომარეობის შეფასება უნდა მოხდეს მათი კომპლექსური შემოწმების შედეგების მიხედვით.
- 3.5.6.2. სალიანდაგო გზების კომპლექსური შემოწმება მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:
- სალიანდაგო გზების ელემენტების გარეგანი დათვალიერება, მათი ფაქტიური მდგომარეობის შეფასებით;
 - სალიანდაგო გზებზე იმ მონაკვეთების გამოვლენა სადაც დასაშვებზე მეტია რელსების ცვეთა;
 - რელსების ბზარების მექანიკური დეფექტების გამოვლენა;
 - რელსების დამამაგრებელი ელემენტების სიმრთელისა და კომპლექტაციის მდგომარეობა;
 - ჩიხური სამუხრუჭე მისაბჯენებისა და ამწის ბუფერების სიმაღლის შესაბამისობის შემოწმება;
 - სალიანდაგო გზების დამიწების სიმრთელისა და პროექტთან შესაბამისობის შეფასება;
- 3.5.6.3. სატვირთო ურიკის რელსების გეგმიურ - მაღლივ ამოღებას ახორციელებენ ლიანდაგების მნიშვნელოვანი წანაცვლების (10 მმ-ზე მეტი) ჰორიზონტალური მიმართულებით ან გადაბმების ადგილზე არალერძულობებისას (3 მმ-ზე მეტი) ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებებით. ასევე დეფექტების აღმოჩენისას, რომლიც ხელს უშლის სატვირთო ურიკის გადაადგილებას (ხმაური, ხრჭიალი, ამაღლებული ვიბრაცია, ბორბლების მნიშვნელოვანი ცვეთა და ა. შ.).
- 3.5.6.4. ვიზუალური დათვალიერებისას, რელსებზე გამოვლენილი გაცვეთილი უბნები ექვემდებარება აუცილებელ გაზომვებს „რელსის თავის ცვეთის გაზომვის ჩატარების სქემის“ შესაბამისად (დანართი 11). მიღებულ შედეგებს ადარებენ ზღვრულად დასაშვებს (ПБ 10-14-92 п.15).

3.5.7. დეფექტების უწყისის შევსება.

- 3.5.7.1. ტვირთამწე მანქანების და მათი მეტალური კონსტრუქციების, მექანიზმებისა და ცალკეული კვანძების შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტები შეტანილი უნდა იყოს დეფექტების უწყისში (დანართი 6).
- 3.5.7.2. დეფექტების უწყისი ითვლება ოფიციალურ დოკუმენტად ტვირთამწე მანქანის რემონტში გასაყვანად.

3.6. დოკუმენტაციის გაცნობა

სამუშაოს შესრულებისას გამომკვლევ კომისია უნდა გაეცნოს არსებულ საექსპლუატაციო დოკუმენტაციას, ნახაზებს და ანგარიშებს, შედგენილს ამწეს რემონტის ან რეკონსტრუქციის მიმდინარეობისას (თუ რემონტი და რეკონსტრუქცია ჩატარებულია), სრული ტექნიკური დამოწმების მასალებს.

3.7. სტატიკური და დინამიკური გამოცდების ჩატარება.

3.7.1. სტატიკური და დინამიკური გამოცდები უნდა ჩატარდეს იმ მითითებების შესაბამისად რომლებიც ჩაწერილია საექსპლუატაციო დოკუმენტებში, კომისიის მიერ. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს გენერალური დირექტორის მოადგილე.

3.7.2. ამწის სტატიკური და დინამიკური გამოცდების ჩატარება. ამწის ლითონკონსტრუქციების ნარჩენი ჩაღუნვის გაზომვა

3.7.2.1. მომზადება გამოცდების ჩატარებისათვის

- გამოცდების ჩასატარებლად წარედგინება ამწე მუშა მდგომარეობაში, დაკომპლექტებული ტექნიკური და საექსპლუატაციო დოკუმენტაციის შესაბამისად.
- გამოცდების ჩატარების მოედენი, თავისუფალი უნდა იყოს სხვა მოწყობილობისაგან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს გამოცდის ჩატარებას
- სტატიკური და დინამიკური გამოცდების ჩასატარებლად ჰესი ამზადებს ტვირთებს.
- ლიანდაგი ამწის ქვეშ უნდა შეესაბამებოდეს წესებს და უნდა გააჩნდეს PL10-138-97-ის შესაბამისი დოკუმენტაცია.
- ლიანდაგის სიგრძე უნდა უზრუნველყოფდეს ამწის აჩქარებას ნომინალურ სიჩქარემდე, მის მოძრაობას ნომინალური სიჩქარით არ უმცირეს ამწის სამი ბაზის ტოლი მანძილზე და ამწის შემდგომ დამუხრუჭებას სრულ გაჩერებამდე.

3.7.2.2. სტატიკური გამოცდების ჩატარების თანამიმდევრობა

- ურიკას აყენებენ მალის შუაში (ან კონსოლის შვერილის კიდურა მუშა მდგომარეობაში ჯოჯგინა ამწის გამოცდებისას)
- შეამოწმებენ ამწის ლითონკონსტრუქციებზე, მექანიზმებზე და ტვირთამტაც ორგანოებზე ბზარების არსებობას, ხილულ ნარჩენ დეფორმაციებს და მსგავსი დეფექტებს.
- ამწეს ძირითადი საყრდენი კოჭის ზედა სარტყელზე, ხიდის შუაში (ან ჯოჯგინა ამწის კონსოლის შვერილის კიდურა მუშა მდგომარეობაში) ამაგრებენ ფოლადის სიმს დამჭიმავი ტვირთით. დეფორმაციის სიდიდის ასათვლელად ტვირთის გვერდზე იატაკზე ყენდება სახაზავი, იმდაგვარად რომ შესაძლებელი იყოს ტვირთის გადაადგილების ათვლა სახაზავის შკალაზე.
- სახაზავის სკალით აითვლიან და აფიქსირებენ ტვირთის საწყის მდგომარეობას.
- საცდელ ტვირთს, რომელიც ტოლია $1,25 Q_{nom}$, იატაკიდან (მიწიდან) წევნ 100–200 მმ-ზე და აყოვნებენ ამ მდგომარეობაში 10 წუთის განმავლობაში.
- საცდელი ტვირთის აწევისთანავე სახაზავის შკალის მიხედვით ხდება ფოლადის სიმზე დაკიდებული ტვირთის ახალი მდგომარეობის დაფიქსირება, რითაც განისაზღვრება დატვირთვის ქვეშ ლითონკონსტრუქციის ჩაზნექვა. რეზულტატი შეაქვთ გამოცდის ოქმში.
- ყურადღება! თუ საცდელი ტვირთის აწევის შემდეგ ადგილი ექნება ფოლადის სიმზე შეკიდული მზომი ტვირთის თანდათან ან მკვეთრ დაწევას, სასწრაფოდ უნდა დაუშვათ საცდელი ტვირთი და შეწყდეს გამოცდები ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზების დადგენამდე.
- 10 წუთის გასვლის შემდგომ საცდელ ტვირთს უშვებენ იატაკის ზედაპირზე (მიწაზე) და სახაზავის შკალაზე ხელმეორედ აფიქსირებენ მზომი ტვირთის მდგომარეობას, ხოლო რეზულტატი შეაქვთ გამოცდების ოქმში.
- სტატიკური გამოცდების რეზულტატი ითვლება დამაკმაყოფილებლად, თუ ხიდის (ან კონსოლის) სტატიკურმა ღუნვამ გამოცდებისას არ გადააჭარბა გათვლებით დადგენილ დასაშვებ სიდიდეს, არ შეინიშნება ჩაღუნვის სიდიდის ზრდა საცდელი ტვირთის აწევისას ან ნარჩენი ჩაღუნვა ტვირთის დაშვების შემდეგ.
- დასაშვებია ფოლადის სიმი დამაგრდეს სამშენებლო კონსტრუქციაზე ამწის ხიდის შუა წერტილის ზემოთ, ხოლო სახაზავი დამაგრდეს უშუალოდ ამწის მთავარ კოჭაზე. ამ შემთხვევაში ათვლა იწარმოებს მოძრავი სახაზავის შკალით უძრავი მზომი ტვირთის მიმართ.
- ჯოჯგინა ამწის სტატიკური გამოცდებისას რეკომენდებულია ზემოთმოყვანილთან ერთდროულად გაიზომოს ამწის თვლების გადაადგილებით გამოწვეული ლიანდაგის დაწევის სიდიდე.

3.7.2.3. დინამიური გამოცდების ჩატარების თანამიმდევრობა

- დინამიური გამოცდები ტარდება ამწის მექანიზმების ქმედითუნარიანობის და მუხრუჭების მოქმედების შემოწმების მიზნით გაზრდილი (მომეტებული) დატვირთვების დროს.

- ითვლება, რომ ამწემ ჩააბარა დინამიური გამოცდა, თუ დადგენდა რომ, ტვირთის აწევის, გადაადგილებისა და დაშვების 3–4 მუშა ციკლის შემდეგ ამწე სრულად ინაჩუნებს საპროექტო მუშა ფუნქციებს, ხოლო გარე დათვალიერებით არ იქნა აღმოჩენილი დაზიანებები, დასუსტება შეერთებებში და მექანიზმების ცალკეული ელემენტების გადახურება.
- ამწის მართვა გამოცდების დროს უნდა განხორციელდეს თანახმად ტექნიკურ დოკუმენტაციაში მოყვანილი წესებისა.
- ამწის დინამიური გამოცდები უნდა ჩატარდეს ამწის პასპორტით დაშვებული მექანიზმების ერთობლივი (ერთდროული) მუშაობისას, რომლებიც ქმნიან მაქსიმალურ საცდელ დატვირთვებს.
- გამოცდა უნდა მოიცავდეს განმეორებით ჩართვა და გაჩერებას, მათ შორის აწეული საცდელი ტვირთით შუალედური მდგომარეობებიდან, ამასთან არ უნდა ხდებოდეს გამოსაცდელი ტვირთის დაბრუნებითი მოძრაობა.
- გამოცდების ჩატარებისას საცდელი ტვირთის მასა უნდა იყოს ტოლი $1,1Q_{\text{HOM}}$, თუ რაიმე სხვა არ არის მითითებული ამწის საექსპლუატაციო დოკუმენტაციაში.
- გამოცდების დასრულების შემდეგ ტარდება ამწის ყველა მექანიზმის გარე დათვალიერება, და თუ გამოვლინდა გადახურების ნიშნები (გარეშე სუნის, კვამლის და ა.შ.) ტარდება ელექტროძრავების ხვიების და სამუხრუჭე დოლურების ტემპერატურის გაზომვა.
- თუ არსებობს გადახურებულ ადგილებთან მისვლის შესაძლებლობა, ტემპერატურის გაზომვა სრულდება კონტაქტური თერმომეტრის საშუალებით.
- ელექტროძრავების ხვიების ტემპერატურის გაზომვა შეიძლება ჩატარდეს ირიბი მეთოდით: გაზომილი იქნეს ტემპერატურის ცვლილებით გამოწვეული მათი წინაღობის სხვაობა მუდმივი დენის გამზომი ბოგირის გამოყენებით.

3.8. გამოკვლევის შედეგების გაფორმება. ამწის დამოწმება.

- 3.8.1. შემოწმების შედეგები უნდა გაფორმდეს გამოკვლევის აქტში (დანართი #12).
- 3.8.2. გადაწყვეტილება ამწე საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტების სისტემის ეფექტურობის შესახებ და სამუშაოების შესრულების ტექნოლოგიასა და ხარისხთან დაკავშირებით მოცემულია „ცნობა ამწეზე შესრულებული რემონტებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხარისხის შესახებ“ (დანართი #13)
- 3.8.3. ამწის კომპლექსური სრული მოცულობით გამოკვლევის დროს დაუშვებელია ამწის მუშაობა.
- 3.8.4. ამწის ტექნიკური დამოწმება ხდება კომისიის მიერ გამოკვლევის დასრულებიდან 10 დღის ვადაში. 10 დღეზე მეტი ვადის გასვლის შემთხვევაში გადაწყვეტილებას განმეორებითი გამოკვლევის შესახებ ღებულობს კომისია.

ჰესების ამწეების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტების პერიოდულობის, შრომატევადობის და ხანგრძლივობის ნორმები

ამწეს ტიპი	ტმ-ის სახე	ტმ-ის ან რემონტის პერიოდულობა, სთ	ერთი ტმ-ის და რემონტის შრომატევადობა კაც/საათი				შესრულების ხანგრძლივობა საათი
			სულ	მათ შორის სამუშაოთა ტიპის მიხედვით			
				დიაგნოსტიკური	საზეინკლო	სხვა	
ხიდურა ამწეები							
ხიდურა კაკვიანი ამწეები ტვირთამწეობით 15 ტ	ტმ	500	8	1,5	5,5	1,0	4
	მ	2000	200	2	100	98	50
	კ	25000	800	-	450	350	160
ხიდურა კაკვიანი ამწეები ტვირთამწეობით 16-30 ტ	ტმ	500	9	2	7	-	5
	მ	2000	250	2,5	125	122,5	55
	კ	25000	1000	-	510	490	200
იგვივე, 31-50ტ	ტმ	500	10	2,3	7,7	-	6
	მ	2000	270	2,7	135	132,3	60
	კ	30000	1100	-	560	540	220
იგვივე, 51-70ტ	ტმ	500	11	2,4	8,6	-	6
	მ	3000	300	2,8	150	147,2	65
	კ	30000	1200	-	650	550	230
იგვივე, 71-100ტ	ტმ	500	12	2,5	9,5	-	6
	მ	3000	320	3	160	157	70
	კ	36000	1300	-	700	600	240
იგვივე, 101-250ტ	ტმ	1000	13	2,6	10,4	-	7
	მ	4000	350	3,1	180	166,9	75
	კ	40000	1400	-	750	650	250

